



გაერთიანებული
ენერგეტიკის სამინისტრო

ელექტროენერგიის გაზარი საქართველოში

ივნისი
2025

ელექტროენერგიის სექტორი 2024 წელს



გენერაცია

14.2

ტვტ.სთ



მოხმარება

14.4

ტვტ.სთ



იმპორტი

1.2

ტვტ.სთ



ექსპორტი

1.0

ტვტ.სთ



საბითუმო ფასი

5.6

ცენტი/კვტ.სთ



გალო & თაბარიძე
მშენებლის ცენტრი


გენერაცია

კითხვა 1


რა სადგურები აშენდა ბოლო წლებში და რა
საჭიროება აქვს ქვეყნის ენერგოსისტემას?

ბოლო წლებში ელექტროსადგურების 93% სახელმწიფოს მხრიდან წახალისების მექანიზმით აშენდა

ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე, გვტ




განახლებადი ენერგიის სადგურების მშენებლობა წახალისების მექანიზმის მიხედვით 2007-25 წლებში



წახალისების მექანიზმის (PPA) შემოღების შემდეგ, 2007-25 წლებში აშენდა 83 სადგური, ჯამურად 1.4 გვტ დადგმული სიმძლავრით. 2017-21 წლებში შეჩერებულმა PPA-მ და მოსახლეობის მხრიდან მომატებული პროტესტმა მშენებლობის ტემპის შენელება გამოიწვია. CFD სქემის შემოღებამ 2022 წელს, დარგი კვლავ გაააქტიურა.


დადგმული სიმძლავრის ზრდის მიუხედავად, იმპორტზე დამოკიდებულება უცვლელია გაზრდილი მოთხოვნის და ჰიდრო გენერაციის სეზონურობის გამო

ელექტროენერგიის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ




იმპორტის ან თბოსადგურების საჭიროებას განაპირობებს მზარდი მოთხოვნა და ჰიდროსადგურების სეზონურობა. არჩევანი იმპორტსა და თბოგენერაციას შორის ძირითადად ფასით კეთდება, ტექნიკური შეზღუდვების გათვალისწინებით. ზამთრის დეფიციტის შევსება შესაძლებელია რეზერვუარიანი ჰიდრო სადგურებით.

მოხმარება-მიწოდების სეზონურობა, ტვტ.სთ



მოხმარების საათობრივი დინამიკა და ქარის/მზის სადგურების ცვალებადობა რამდენიმესაათიანი რეზერვის საჭიროებას წარმოშობს



განახლებადი ენერგიის წყაროების შედარება გენერაციის ცვალებადობით საქართველოში



ქარის და მზის სადგურების გენერაცია მერყევია დღის ჭრილში და საჭიროებს სწრაფი რეზერვის წყაროებს (რეზერვუარიანი ჰიდრო, ბატარეა, აირტურბინა).

წყარო: სემეკი, სსე, კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

მოხმარება-მიწოდება დღის ჭრილში საქართველოში, მგვტ




წყარო: სსე, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ზაფხულის დღე აჩვენებს 2023-24 წლების ივნისის საშუალო მონაცემს. ზამთრის დღე აჩვენებს 2023-25 წლების საშუალო მონაცემს ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის და თებერვლის თვეებზე


ქარისა და მზის სადგურების მშენებლობა შედარებით მარტივი და იაფია

განახლებადი ენერგიის წყაროების შედარება მშენებლობის ღირებულებით და რისკებით



ქარის და მზის სადგურებს მაღალი უკუგება აქვთ, ხოლო ჰიდროსადგურები მაღალი ეფექტურობით და სიცოცხლის ხანგრძლივობით გამოირჩევიან

განახლებადი ენერგიის წყაროების შედარება ეფექტურობით, ტარიფის პირობებით და უკუგებით



ქარისა და მზის სადგურების მიმართ ინვესტორების გაზრდილი ინტერესი მაღალი უკუგებით და დაბალი სამშენებლო რისკებით აიხსნება.

წყარო: კომპანიების გამოკითხვა, ეკონომიკის სამინისტრო, გალტ & თავარტი
შენიშვნა: 1) სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი რეზერვუარიანი ჰიდროსთვის იცვლება გამოყენების მიხედვით; 2) LCOE (levelized cost of electricity) აღნიშნავს სიცოცხლის განმავლობაში არსებული ხარჯების შეფარდებას გენერაციის რაოდენობაზე დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით (დისკონტირების განაკვეთი WACC=12.5%). 3) CFD-ის ტარიფის პირდაპირი შეთავაზების პირობები (გარდა რეზერვუარიანი ჰიდროსი, სადაც მე-2 აუქციონის შედეგებია აღებული) 4)Equity IRR არის პროექტის უკუგება ინვესტირებულ კაპიტალზე და დათვლილია ოპერირების 20 წლიანი პერიოდისთვის.

CFD-ის შემოღებამ ინვესტორების ინტერესი გაზარდა ქარის და მზის სადგურების მიმართ, თუმცა ქსელს მათი მიღება ამ ეტაპზე შეზღუდული აქვს

ელექტროსადგურების პოტენციური პროექტები, გვტ

				
	ჰიდრო	ქარი	მზე	სულ
პროექტები კვლევის/მშენებლობის ეტაპზე	4.0	1.5	0.4	6.0
დასამტკიცებლად შეტანილი პროექტები*	0.6	3.1	5.1	8.8
ლიმიტები (სსე-ს მხრიდან)	NA	0.75	0.5	1.25

სახელმწიფოს მხრიდან გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები


- + CFD მექანიზმის შემოღება
- + გადამცემი ქსელის გაძლიერება
- + ენერგიის დამაგროვებლების (ე.წ. ბატარეა) აშენება
- + ერთი ფანჯრის პრინციპი ბიუროკრატიული ბარიერების შესარბილებლად
- + ბაზრის რეფორმის გეგმის განახლება
- + დამაგროვებელი ჰიდროსადგურები

CFD-ს შემოღებამ, ორმა ჩატარებულმა აუქციონმა 2022-23 წლებში და 2025 წელს პირდაპირი მოლაპარაკების გამოცხადებამ გაზარდა ინვესტორების ინტერესი, განსაკუთრებით ქარისა და მზის სადგურების მიმართ.

წყარო: სსე, ეკონომიკის სამინისტრო, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: დასამტკიცებლად შეტანილი პროექტები გულისხმობს იმ პროექტებს, სადაც CFD-ის პირდაპირი მოლაპარაკებისთვის გაკეთდა განაცხადი. ამ განაცხადების შედეგები წლის განმავლობაში გახდება ცნობილი


ჩვენი პროგნოზით, ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპი დაჩქარდება და დადგმული სიმძლავრე გაიზრდება 9.0 გვტ-მდე 2035 წლისთვის

მთავრობის 10-წლიანი გეგმა, დადგმული სიმძლავრე, გვტ



10-წლიანი გეგმით გათვალისწინებული სადგურების ექსპლუატაციაში დროულად შესვლა ნაკლებად სავარაუდოა.


გალტ & თაგარტის საბაზისო პროგნოზი, დადგმული სიმძლავრე, გვტ



ჩვენი პროგნოზით, 2035 წლამდე შესაძლოა აშენდეს 1.4 გვტ ჰიდრო, 1.5 გვტ ქარის, 1.0 გვტ მზის და 0.4 გვტ-ის თბო სადგურები. შედეგად, ქვეყნის დადგმული სიმძლავრე 90%-ით გაიზრდება 9.0 გვტ-მდე.

საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ ელექტროენერგიის მოხმარების 95% განახლებადი ენერგიის რესურსით დააკმაყოფილოს

გალტ & თაგარტის გენერაციისა და მოხმარების პროგნოზი, ტვტ.სთ




წმინდა
ექსპორტიორი

+5.2 ტვტ.სთ


წმინდა
იმპორტიორი

-3.1 ტვტ.სთ

გენერაციის საბაზისო სცენარი, 2035



გენერაციის პესიმისტური სცენარი, 2035



საბაზისო სცენარის მიხედვით, საქართველო გახდება წმინდა ექსპორტიორი 2028 წლიდან და 2035 წლისთვის მოხმარების 95% განახლებადი ენერგიით დააკმაყოფილებს. პესიმისტური სცენარის მიხედვით, საქართველოს იმპორტი თითქმის მთელი წლის განმავლობაში დასჭირდება.

წყარო: გალტ & თაგარტი

შენიშვნა: პესიმისტურ სცენარში მშენებლობის ტემპი გრძელდება წინა 10 წლის ანალოგიურად; საბაზისო სცენარი აღწერილია წინა გვერდზე



გალო & თაგარი
მშენებლობის განვითარების ცენტრი


მოსმარება

კითხვა 2

რა ფაქტორები განაპირობებს
ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარების
ზრდას?


მოსახლეობის მოხმარება სტაბილურად მზარდია, ხოლო კომერციული სექტორის მოხმარება მერყევია

ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება, ტვტ.სთ



ელექტროენერგიის ჯამურ მოხმარებაში ადგილობრივი მოსახლეობის წილი 21.4%-ია, ხოლო ბიზნესის 54.2%. ბიზნესის მოხმარების უდიდესი ნაწილი შუამავალი მიმწოდებელი კომპანიების (თელმიკო და ეპ ჯორჯია) გავლით ხდება, ხოლო მესამედი პირდაპირ საბითუმო ბაზარზე ვაჭრობს.


ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარების ზრდა მოხმარების ჯგუფების მიხედვით, 2015-24



ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის მთავარი წყარო აფხაზეთის რეგიონი და ბიზნესი იყო ბოლო 10 წელიწადში.

ისტორიულად, ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის ტემპი ეკონომიკის ზრდას მიჰყვება, თუმცა არსებობს გამოწვევები


ელექტროენერგიის მოხმარებისა და რეალური მშპ-ს ზრდა




ტრადიციულად, ელექტროენერგიის მოხმარება და ეკონომიკის ზრდა მსგავსი დინამიკით ხასიათდებოდა, თუმცა 2022-23 წლებში ეს ტრენდი შეიცვალა. ცვლილება გამოწვეულია საქართველოს ეკონომიკაში ენერგო-ინტენსიური სექტორების შედარებით ნელი ზრდით, ხოლო სერვის-ინდუსტრიების სწრაფი აღმასვლით.

2023 წელს ჯამური მოხმარების შენელების გამოწვევი სექტორების ელექტროენერგიის მოხმარება


ფეროშენადნობი ქარხნები, ტვტ.სთ




მეტალურგიული ქარხნები, ტვტ.სთ



დატა მაინინგი, ტვტ.სთ




აფხაზეთის რეგიონი, ტვტ.სთ




ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად საშუალოდ 3.0%-ით გაიზრდება 2025-2035 წლებში

ელექტროენერგიის მოხმარება, ტვტ.სთ



ჩვენი მოლოდინით, ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად საშუალოდ 3.0%-ით გაიზრდება და 2035 წლისთვის 19.1 ტვტ.სთ-ს შეადგენს.


2025-35 წლებში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის პროგნოზი კომპონენტების მიხედვით, ტვტ.სთ



მოხმარების ტემპი შესაძლებელია დაჩქარდეს დატა ცენტრების საქართველოში მშენებლობის შემთხვევაში.

მომდევნო წლებში მოხმარებისა და გენერაციის ზრდის ტემპი განსაზღვრავს დეფიციტის/პროფიციტის დინამიკას

გალტ & თაგარტის გენერაციისა და მოხმარების პროგნოზი, ტვტ.სთ




წმინდა
ექსპორტიორი

+5.2 ტვტ.სთ


წმინდა
იმპორტიორი

-3.1 ტვტ.სთ

გენერაციის საბაზისო სცენარი, 2035



გენერაციის ჰესიმიტური სცენარი, 2035





გალობადაშვილი
მედიკალინური ცენტრი


ელექტროენოცეფალიის ექსპორტი

კითხვა 3


სად და როგორ განვახორციელებთ ექსპორტს?

საქართველო ელექტროენერგიის წმინდა იმპორტიორია, თუმცა ზაფხულში ხორციელდება ექსპორტიც და მთავარი საექსპორტო ქვეყანა თურქეთია


ელექტროენერგიით საგარეო ვაჭრობა, ტვტ.სთ



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ




ექსპორტის საშუალო ფასი, ცენტი/კვტ.სთ



2022-23 წლებში რეკორდული ექსპორტი გამოწვეული იყო ადგილობრივი მოხმარების შემცირებით, თბოგენერაციის გაზრდით და თურქეთის ბაზარზე მიმზიდველი ფასებით.


ექსპორტის და ტრანზიტის პოტენციალის ასათვისებლად, ქვეყნებს შორის გადამცემი ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერებაა საჭირო

ელექტროენერგიის ტრანზიტი და ექსპორტი საქართველოდან თურქეთში, ტვტ.სთ.



2022-23 წლებში თურქეთში გაზრდილი ფასიდან გამომდინარე, საქართველო-თურქეთის ხაზის დატვირთულობა საექსპორტო სეზონზე იყო მაქსიმალური. ექსპორტისა და ტრანზიტის მოცულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია საექსპორტო ინფრასტრუქტურის გაძლიერება.


ქვეყანათაშორისი ხაზების არსებული და დაგეგმილი გამტარუნარიანობა, მგვტ




დაგეგმილი პროექტების დაგვიანების ალბათობა მაღალია.

მეზობელი სახელმწიფოები აქტიურად გეგმავენ განახლებადი რესურსების ათვისებას და საგარეო ვაჭრობის აქტივობა ფასზე იქნება დამოკიდებული

მეზობელი სახელმწიფოების ელექტროენერგიის მოხმარება და გენერაცია, 2023, ტვტ.სთ




მეზობელი სახელმწიფოების გენერაციის გადანაწილება წყაროების მიხედვით, არსებული და დაგეგმილი




რეგიონში განახლებადი რესურსების ათვისების ინტენსიური გეგმა იმოქმედებს საბითუმო ფასზე, იმპორტ-ექსპორტის მიმართულებასა და პერიოდებზე.

შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზი საქართველოსთვის ექსპორტის დივერსიფიკაციის საშუალებაა

ელექტროენერგიის ფასი ქვეყნების მიხედვით, ევრო/კვტ.სთ



შავი ზღვის კაბელის დატვირთულობა საბაზისო სცენარით, 2035, ტვტ.სთ



ელექტროენერგიის ფასები შერჩეულ ქვეყნებში, ევრო ცენტი/კვტ.სთ

	2024	2030F
თურქეთი	6.9	8.4
ბულგარეთი	10.3	6.6
რუმინეთი	10.4	6.4
უნგრეთი	10.2	6.2



გალობა
გარემოს დაცვის
და მცენარეულობის
მინისტრო


ელექტროენერგიის ფასი

კითხვა 4

როგორ შეიცვლება ელექტროენერგიის ფასი?

ბაზრის არსებული წესებით საბითუმო ბაზარზე ფასის მდგენელი ესკოს გასაყიდი ფასია, რომლის გაზრდა კვტ.სთ-ზე 6.2 ცენტამდეა მოსალოდნელი 2035 წლისთვის


ესკოს მიერ შესყიდული ელექტროენერგია კომპონენტებად



ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) ყიდულობს PPA-იან გენერაციას, იმპორტის ნაწილს და სხვა ენერგიას და ყიდის პირდაპირ მომხმარებლებსა და მიმწოდებლებზე (თელმიკო, ეპკორჯია) საშუალო შეწონილი ფასით. ესკოს შესყიდული ენერგიის 95%-ის ფასი დოლარშია განსაზღვრული, რის გამოც ესკოს გასაყიდ ფასსაც დოლარში ვუყურებთ.

წყარო: ესკო, სემეკი, ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი


ესკოს გასაყიდი ფასი, ცენტი/კვტ.სთ



ესკოს გასაყიდი ფასი საბითუმო ფასის საუკეთესო ინდიკატორია, რადგან იგი ხშირად გამოიყენება ორმხრივი კონტრაქტების საორიენტაციო ფასად (მაგ. ესკოს ფასს დაკლებული 5-10%).

რა ცვლილებებია დაგეგმილი ბაზრის წესებში?

საბითუმო ბაზრის ახალი მოდელი



რა შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის ახალ მოდელზე გადასვლამ?

გალტ & თაგარტის შეფასებით:

- **საბითუმო ფასის** მდგენელი დღით ადრე ბაზარზე იქნებიან თბოსადგურები დეფიციტურ თვეებში, ხოლო ექსპორტის დროს რეზერვუარიანი ჰესები ან ექსპორტიორები
- **უბალანსობაზე პასუხისმგებლობამ** შესაძლოა სადგურის შემოსავალი შეამციროს ან გაზარდოს მაქსიმუმ 10%-ით
- **სამომხმარებლო ფასი** გაიზრდება წახალისების მექანიზმის მოქმედების პერიოდში, შემდეგ კი შემცირდება
- **თავისუფალ ფასწარმოქმნაში** ჩაერთვებიან მიმწოდებლების 24.1% 2035 წლისთვის (ნაცვლად 11.1%-ისა 2024 წელს)

ძირითადი მიზნობები



გენერაცია

რა საჭიროება აქვს ქვეყნის ენერგოსისტემას?

- იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება
- მზის და ქარის სადგურების სისტემაში ინტეგრაციის ლიმიტების გაზრდა



ადგილობრივი მოხმარება

რა იქნება მოხმარების წარმმართველი ფაქტორები?

- ეკონომიკური ზრდა
- ელექტროტექნიკის ფლობა
- ელექტრო ავტომობილები
- დატა ცენტრები



ექსპორტი

სად და როგორ განვახორციელებთ ექსპორტს?

- ვაჭრობის აქტივობა დამოკიდებული იქნება ფასზე და გადამცემ ხაზებზე
- შავი ზღვის კაბელი ევროპაში ექსპორტისთვის



საბითუმო ფასი

როგორ შეიცვლება ელექტროენერგიის ფასი?

- არსებული მოდელით საბითუმო ფასი გაიზრდება
- სამიზნე მოდელით საბითუმო ფასი სავარაუდოდ დაიკლებს, დეტალები დასაზუსტებელია



გალტ & ტაგარტი

ვებინოვანი ფინანსური ჯგუფი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი

evabochoreshvili@gt.ge

საქტორის უფროსი

მარიამ ჩახვაშვილი

mchakhvashvili@gt.ge

მისამართი:

ალექსანდრე ჰუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგარა უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.00